

დ რ მ ა რ ბ

სურათებისა და დამაჭება

გაზეთის № 58.

ქვირა, 14 მარტი 1910 წ.

დამაჭების № 11

წ ე ს ღ ე ბ ა.

დასასრული *)

IV.

მაშა ინსპექტორი საინსპექციო პატარა ოთახში იჯდა. წინ ედო გაშლილი რუსულ-სლავინური სახარება. მეზუთე კლასში მეოთხე გაკვეთილი უნდა მიეცა საღმრთო წერილი-ლან და ემზადებოდა. წინა დღეს თავის სუფალი დრო სემინარიისაღმრთო-წერილთან დაშორებულ სხვა და სხვა საქმეს მოანდომა, ასლა კი დრო ცოტა რჩებოდა, თავისს თავს რიგიანად მომზადებულად ვერა გრძნობდა და, ცოტა რ იყოს, გაჯავრებული იყო.

— აი, მამაო ინსპექტორო, დამნაშავე, — მშრალად შემოილაპარაკა ბართლომე ივანიჩა. კარებთან, მოშორებით, მეოთხე კლასის მოსწავლე ზებედევი გაჩერდა. მოსწავლე ჩვეულობრივ დაფიქრებული, ოდნავ თავ-დაღუნული იდგა.

— რაშია საქმე? — უკმაყოფილოდ ჰკითხა ინსპექტორმა და სახარებას თვალი მოაშორა.

— აი, მივდიოდი სამზარეულოსაკენ, მინდოლა დამტკალიერებინა, მზარეული კარგად აკეთებს საჭმელებს თუ არა. ჩავდი ძირს, შევიხდე და ჩის წყლის ასადულებელ ქვაბებთან სდგას ჩვენი ზებედევი. სახეზე კვევამნიერ, რომ რა ლაცას ცულლუტობდა. მივედი და გამოველაპარაკე. ორი-სამი სიტყვის თქმა ვერ მოვასწარი, რომ ისეთი იგრიალა, ისეთი...

— რას ამბობ, გაისროლა? — აღშფოთებით წამოიძახა ინსპექტორმა და ზეზე წამოიკრა.

— არა, დამშვიდით, მ. ინსპექტორო, — საჩაროდ მიუგო, თვითონაც ჭარხალივით გაწითლებულმა „კვარტალ-

ნიმ“: — იარაღი კი არ უსროლნა, თურმე ნადვერდალში კვერცხი ჩაეფლო და ის გასქდა... ისეთი გასქდა, რომ ნაცარი თვალებში შემომაყარა. ესეც შენი სამღვდელო კაცი, შუა დიდარხვაში კვერცხის საჭმელად ემზადებოდა...

მ. ინსპექტორს, აღლვებისა გამო ფერ წასულს, კინალამ გაეცინა, მაგრამ თავი შეიმაგრა. დინჯი სახე მიიღო და საქმიანის კილოთი წარმოსთვეა:

— კვერცხსა სწავლა, უნდა ეჭამა შუა დიდ-მარხვაში? მკაცრად უნდა დასაჯოთ ახალი წესდების ძალით.

მ. ინსპექტორმა აქეთი-იქით გაფაციცებით ხელის ფათური დაიწყო.

— ეხ! რა ვუყავი, აქ რომ ახალი წესდება მქონდა! — ამბობდა იგი და ხან სახარებას ვადმოშლილა, ხან მაგიდის უჯრაში იხდებოდა, ხან წიგნებით და დავთრებით სავსე თაროს სინჯავდა. წესდების წიგნაკი არსადა კი სჩანდა.


— ჰო მართლა ჯიბუ-ში მაქეს, — ჯავრით წარმოსთვეა მან და წესდების წიგნაკი მაგიდაზედ ააგდო.

წიგნაკის ფურცლები გაჭრილი არ აღმოჩნდა. მ. ინსპექტორმა თითოთ სცადა გაჭრა, მაგრამ ქაღალდი სწორედ არ გაიხა, ცალ-მხრივ ჩაიხა და დაბეჭდილ ასოებამდე მიატანა. თანაშემწემ კალმის ტარი მიაშველა და, როგორც იყო, წიგნაკის ნაკეცები გასჭრეს. მ. ინსპექტორი რაც შეეძლო ჩარიობდა.

— ბართლომე ივანიჩ, თქვენ ხომ წაკითხული გაქვთ ეს წესდება, შეიძლება გახსოვთ რომელი მუხლი შეესაბამება ამის საქციელს? — ჩუმად სთქვა მ. ინსპექტორმა.

ბართლომე ივანიჩს კი, როცა ზებედევი დაიჭირა, ახალი წესდება სულ არ გახსენებია.

— დიახ, დიახ, წავიკითხე, — გაუბედავად მიუგო მან: — ცოას, ცოას, წავიკითხე, — გაუბედავად მიუგო მან: — ცოტა ბოლოში დამრჩა, ვერ მოვასწარი, ამ საღამოს გაპირობ გულ-დადებით შევისწავლო, — ჩუმად დაუმატა იგანიჩაც.



დადა და შვილი.

ამ დროს მეოთხე გაკვეთილის დასაწყისი დარეკეს კიდევ.

— ოი, ოი,—წამოიძახა მ. ინსპექტორმა:—გაკვეთილი მაქეს. ათამდე კაცს ნიშანი არ უზის.

— ასე მახსოვეს, იქ უნდა იყოს, სადაც მარხვაზეა საზოგადოდ ლაპარაკი, —ივარაუდა თანაშემწერმ.

მ. ინსპექტორმა მოსაყველურე თვალებით გადახედა.

— აბა სადა? სჯობია თავიდან მიყვეთ, ერთ წამს გადავხედავთ, —სთქვა ინსპექტორმა და წიგნაკის მუხლ-მუხლ თვალიერებას შეუდგა.

„მოწაფენი უნდა ესწრებოლნენ წირვა-ლოცვას... მშვიდად... პირჯვრის... წყნარად... სასტიკად აღკრძალულია... სახარების მიხვევის შემდეგ...“ — ბუტბუტებდა მ. ინსპექტორი და თან წიგნაკის ფურცლავდა.



კონსოლადებელი,

ამერიკელი მილიარდერი, რომელმაც ერთი მილიარდი მანეთი შესწირა თავის ერს საგანმანათლებელო საქმეებისთვის.

— ხომ ვერ წავწყდით ჯერ? — ნალვლობდა ინსპექტორი.

— რა არის, რომ ასე გულ-მოდგინეთ ეძებთ მ. ინსპექტორო? — შემოილაპარაკა მაღალ-მაღალმა, ოდნავ ჭაღარა შეჩეულმა კაცმა და პატარა თოახში თავი შემოჰყო.

ახლად მოსულს ხელში საკლასო დავთარი ეჭირა და ეტყობოდა, გაკვეთილის მისაცემად ემზადებოდა.

— ი, ამ ვაჟბატონს საჯელი მინდა მოუძებნო, — მიუთითა კუთხეში მდგომ ზებედევზე, რომელმაც მასწავლებლის დანახვაზე, გაწითლებულმა, კიდევ უფრო ძირს დაღუნა თავი.

— ნეტავ რა ჩაუდენია ისეთი? — გაიკვირა მასწავლებელია.

— ეს არის ეხლა მიუსწვრია ბართლომე ივანიჩს, მარხვა გაუტეხია, კვერცხი უჭამია.

— ჩის წყლის საღულებელ ფერთან ნალვერდალში კვერცხსა სწვავდა, — დაუმატა ივანიჩმა.

— სწვავდა? ეს კიდევ არა ნიშანას, რომ სჭავდა, — შენიშნა მასწავლებელმა და ჩაეცინა, სამივეს ჩომცინარე სახე օადავლო, უსურვა გამარჯვება და თავისის გზას გაუდგა.

თანაშემწერმ მუქარით სავსე თვალები გააყოლა.

— როცა ჩეარობ, გაშინ ხომ სულ ვერაფერს იპოვნი, თავ-შეკავებულის გაჯავრებით. წამოსთქვა მ. ინსპექტორმა და წიგნაკი გადაფურცლა.

„მ. მ... სასტიკად აღკრძალულია, თეატრში ან ცირკში სიარული... განქოს ან ჭანდარაკის თამაში“ ჩვეულებრივ ბუტბუტებდა მ. ინსპექტორი და ფურცელს ფურცელზე შლიდა. — „სასმელ-საჭმელი სემინარიელებს ეძლევათ, თანახმად წინ-და-წინ შელგენილი ნუსხისა...“

— აქ უნდა იყოს! — სიხარულით შენიშნა ივანიჩმა.

„რესტორანიდან, ან სხვა საიდანმე საჭმელის მოტანა აღკრძალულია... შაქარი ეძლევათ...“

— არასფერიც არ არის მგონი, რაც ჩვენ გვიშავთ არა არასფერიც არ არის მგონი, — დალონებით ჩაილაპარაკა მ. ინსპექტორმა.

მასწავლებლები ყველანი კლასებში შევიდნენ. ყველან სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ მეხუთე კლასიდან, სადაც ინსპექტორს გაკვეთილი ჰქონდა, ჩოქელი მოისმოდა.

მ. ინსპექტორმა წესდების წიგნაკი თითქმის სულ გადაათვალიერა, მაგრამ ზებედევების შესაფერ სასჯელს მაინც ვერ წააწყდა.

— წადი კლასში, — ცივად უთხრა მოსწავლეს და გაისტუმრა, მერე თანაშემწეს მიუბრუნდა: — იცი რა გითხრა, ბართლომე ივანიჩ: სიჩქარისა გამო ვერ ვიპოვნეთ, თორებ საიმისო რამე უსათუოდ იქნება, მერე ვნახოთ. თუმცა უნდა შეგნიშნო, რომ თქვენი ბრალდება დაუსაბუთებულია! — მაკარ მაკარიჩმა რომ სთქვა, იმისი არ იყოს, ხელში ხომ არ ეჭირა კვერცხი, ხომ არა სჭამდა?

— მ. ინსპექტორო, აქ ეჭვი და ორ-აზროვნება ყოვლად შეუძლებელია, მაშ რა უნდოდა იმ დროს იქ. სიცივე არ იყო და ქარი. ყველა იმისი ამხანაგი გარედ მხეხე თბებითდა. კვერცხი რომ გასქდა, რად გაწითლდა, თუ მისი ნამოქმედარი არ იყო? ლამაზად შესწვავდა, პურს იქვე მზარეულს გამოართმევდა და არხეინად შეექცეოდა. მე ცოტა ავჩქარდი, თორებ სამი წუთი რომ დამეგვიანებინა, ზედ კამის დროს თავზე დავადგებოდი.

ეგ სულ სხვა იქნებოდა, ბართლომე ივანიჩ, მაგრამ ახლა რაც არის, ის არის. რაცი მოიყვანე, პრინციპის გულისთვის, რამენაირად უნდა უსათუოდ დავსაჯოთ, მაგრამ შემდეგში კი უფრო ფრთხილად მოიქეცით. თუ აშკარა საბუთი არა გაქვთ გასამტყუნებელი, ვარაუდით ხელს ნურავის ნუ წაავლებთ. ხომ იცით, რა შფოთიანი ხალხია. უიმისოდაც ათას ნაირი ცუდი ხმა მოგვდის და ცეცხლში ნავთის ჩასხმას უნდა ვერიდნეთ.

მეხუთე კლასში ისევ ჩოქელი ისმოდა.

— მოდის! — მოდის! — გაისმა ამ კლასში.

მ. ინსპექტორო მართლა მიდიოდა.

„ფუ! რამდენი დრო დავკარგე ტყუილა უბრალოდ, — ფიქრობდა გზა-გზა მ. ინსპექტორი და მეხუთე კლასისაკენ მიეჩქარებოდა: — გუშინ და წუხელ ვერაფერი წავიკითხე, სულ ვერ მოვემზადე. დღეს, თუ გინდა, არაფერს არ ავხსნი სულ ვკითხავ, მაგრამ აღგება რომელიმე მოუსვენარი მოსწავლე და გკითხავს, ეს და ეს ადგილი სახარებიდან ამისენით და შენც მოვალე ხარ, აუხსნა... ასე არ იყო ჩამაცივდნენ ერთხელ მოუმზადებელს და რა არ ვილაყბე, ადესლაც პროფესორისაგან გაგონილიც მოვიგონე, სხვაც ზოგი აქეთ, ზოგი იქით, მაგრამ არ იქნა ვერ დავაკმაყოფილე ცნობის-მოყარენი. სახეებზე ეტყობოდათ, რომ-ბეგრი ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა ახსნა-განმარტებამ.“

„დალოცები, თვითონ არაფერს ყურადღებას არ აქციებენ, სადარბაზოდ დაბრძანდებიან და შენ-კი სწი ჭაპანი! — ფიქრობდა თავის მხრივ ბართლომე ივანიჩი: — მე საქმეს კეთილ-სინილისიერად ვასრულებ და მაღლობის ნაცვლად მეუბნებიან, თუ უტყუარი საბუთი არა გაქვს, ხელს ნურავის დაადებო. უტყუარი საბუთს დამნაშავე მოსწავლეში სამს ვერ უპოვნი. ი, გუშინ წინ საწოლ თოახებში რომ გავიარე, ღამის ორ სამთხე, სტვენა დამიშეც. ნამდვილად საიდან უნდა მცოდნოდა ვინ უსტვენდა: მეც ავდეჭი და იმ აღლიდან სამი, ოთხი ავარჩიე, ნაკლებ კეთილ სამედო და „კონდუიტში“ ამავაყოფინე თავი. სხვა რა უნდა მექნა, უტყუარი საბუთი საიდან მომეტანა? არავინ ჩამეშერა? უკარიად, ჩემს აბუჩად იგდებას არავის ვაპატიებ!“

V.

საღამოს შვიდ საათზე ბართლომე ივანიჩმა მორიგეობა მეორე თანაშემწეს ჩააბარა და თვითონ მთავარ ქუჩისაკენ სასეირნოდ წავიდა. ოვთის წინაშე, მორიგეობის შემდეგ თავისუფალი გავლა-გამოვლა და სულიერად დამშვიდება ეწირებოდა. დალლილი იყო. საღილიც ხეირიანად არ ეჭამა.

მთავარი ქუჩა მოსეირნე ქალით და კაცით იყო გაჭედილი. ამინდიც ხელს უწყობდა: მარტის თბილი დარი იდგა. ახალი გაზაფხულის სუნი უკვე ტრიალებდა ჰაერში და ზამთრის სუსხისა გამო მიმქრალ-მინელებულ გულს კვლავ სასიყვარულოდ იწვევდა.

ბართლომე ივანიჩიც გაერია მოსეირნეთა შორის. ქვა-



თ ა რ ნ თ ვ ს ძ ა თ ა,

რომლის საჭმეც ამ ქამად ვენეციაში ირჩევა.

(იხ. „დროება“ № 48).

ფენილზე აქა-იქ ქალების კისკისიც მოისმოდა. ქალები, თითქო რაღაც დაუკარგავთო, აქეთ-იქით გაფაციცებით დარბოლენენ. მაგრამ ამ წუთში ივანიჩს ქალები არ აინტერესებდნენ. მიღიოდა ოდნავ თავ-ჩაღუნული, რაც პატარაობიდანვე ჩვეულებად ჰქონდა გადაქცეული და სულ თავისს მომავალზე ჰყოქრობდა.

„საძაგელი ხელობაა, უხეირო სამსახურია, — ამბობდა გულშე: — მთავრობას ასიამოვნებ, მოსწავლენი უნდა მოიმდურო, მოსწავლებს ასიამოვნებ, მთავრობა დაგემდურება. თვით ის მ. ინსპექტორი, რომელიც მე დღეს საყვედურს მეუბნებოდა, უსაბუთოდ ნურავის წაავლებ ხელსაო, ერთი კვირი რაღაც ამინდე არ ჩავწერო, უფრო მეტ საყვედურებს მომაყრის: ეგ რა ამბავია, ალბათ თვალყური კარგად არ გიდევნებია, თორემ როგორ დავიჯერებო, მთელი კვირა ოთხის კაცში არც ერთმა არაფერი დაშავაო. მოდი და ჰქითხე მაგათ სამართალი? მაგრამ უკაცრაოდ! ბართლომე ივანიჩი უსუსური ბავშვი არ არის, რომ არ იცოდეს რასა შერება ჩემი ინსტრუქცია. ინსპექტორზე ნაკლებ არ ვიცი. ინსპექტორი ან რექტორი ვითომ რა წითელი კოჭები არიან. მაგათაც აკადემია გაათავეს, მეც. ჩემი დისტ. ტაცია, თუმცა მშრალ თემაზე იყო, მაგრამ ერთი კარგთაგანად იყო აღიარებული პროფესორის მილიტინისაგან. სამსახურში მტკიცედა ვარ. არავისი არ მეშინიან, თუმცა ვიცი, რომ მოსწავლებს არ ვეუყვარვარ. ზოგი აშკარადაც შემტერება, რაღაც ისინი ჩემი დასმენით სახელმწიფო ხარჯიდან დაითხვეს. მაგათი ბრალია: მე ბევრი ფილოსოფიის არა მრწამს რა, ნაბანებია, ასე, ასე უნდა მოიცეო, მორჩა და გათავდა! თვით მ. რექტორმა გამოუცხადა ყველას: გაზეთების კითხვა აღკრძალულია. მოკლეა და გასაგები. ყველას უნდა გაეგონა. იმათ-კი ათიოდე ნომერი გაზეთისა

ერთად ვუპოვნე. აღკრძალულია აგრეთვე საერო სამსახურის კითხვა, ხელოვს კვ არხეინად გაეშალა შიგ საკლასო ოთახში დიდი უურნალი და ახალ ნასაღილევს ტკბილეულის ნაცვლად შეექცეოდა. ზედ დავიჭირე, თვალის დახამხამება ვერ მოასწრო. რა საშინელი ცნობის-მოყვარე ხალხია, ღმერთო? რისთვის ატეხენ თავს საერო ლიტერატორას? აბა სალულიერო რამე შეაძლიე, თუ ხელი მიაკრონ. შარშან რა შშვენიერი თხზულება გამოვიდა ჩემის ნარეჯტორალის ყოვლაც სამღვდელო ისიდორესი. თხზულებაში ნათლად არის დამტკიცებული, რომ მოსემ მართლა გააპო ზღვა და მშრალად განიყვანა ისრაელი, რომ იქ ზღვის ტალღების არავითარ მოქცევასა და უკუკლევას ადგილი არა ჰქონდა. რამდენს მივაწოდე წასაჭირხად, შეგრამ არც ერთმა არ წაიკითხა. აბა კარლ მარქსის ან ენგელსის თხზულება გეჩვენებინა, ერთმანეთს ცხვირ-პირს ჩამზრვებულებან“.

ივანიჩი იმდენად გაერთო ფიქრებში, რომ ვერც კი შეამჩნია, თუ როგორ დაეტაკა ერთ მაღალ-მაღალ ჩასქელებულ კაცს.

„კვარტალნი“ გამოერკვა. მიიხედ-მოიხედა. კარგა მანძილი გაევლო. უკან გამობრუნდა და მაღაზიების გაყოლება გაიძრა.

ცხრა საათს კარგა გადაცილებული იყო, როცა ბართლომე ივანიჩი სემინარიის შენობას მიუახლოვდა. მიღიოდა ნელი, თან რაღაც სიმღერას დიღინებდა ჩუმალ. პალტოს ღილზე მოწითალო ქალალდში გახვეული რაღაც ნავაჭრი ეკიდა.

„ეხ! მოდი ერთი ბერად აღვიკვეცები, — გაიფიქრა ივანიჩმა: — მაშინ ხომ ამდენი ლოდინი არ დამჭირდება. ადგილად შესაძლებელია პირდაპირ ინსპექტორობა მომცენ საღმე. არ გაივლის სამი-ოთხი წელიწადი, რექტორი ვიქები, სამი-ოთხი კიდევ და ეპისკოპოსი. ჩემი ნაამხანაგარი ბარემორი მეგულება რექტორი. ერთს საცაა ეპისკოპოსობას მისცემენ და რომ შემხვდეს, ხელზე უნდა ვემთხვიო. ერთად კი ბევრი გვიქეიფნია... მოდი ერთი მართლა ბერად შევალ!“

ამ დროს იქვე მახლობლად ქვაფენილზე ვიღაც მაღალი, ახოვანი ქალი შეამჩნია. ქალი თავმომწონედ მიღიოდა, კაბის ბოლო კოხტად ეჭირა ხელში, რომ მისი ჩამრგვალებული ტანი უფრო ნათლიად და მიმზიდველად გამოჩენილიყო. ქალს გვერდზე კოხტადვე გამოწყობილი პატარა ტანის კაცი მისდევდა.

ივანიჩი შეჩერდა, ერთ ხანს უყურა და მერე ისევ სემინარიისაკენ გააგრძელა გზა.

VI.

შინ რომ მივიდა, სტოლზედ აღუღებული სამოვარი დახვდა. მოსამსახურე ბიჭი დაითხვეა, შეხვეული ქალალდი გახსნა, შიგ შემწვარი გოჭის ნაჭერი აღმოჩნდა. გოჭის ხორცი დასკრა, თეფუზე დაალაგა, ერთი ბოთლი ღვინო საიდანლაც გამოაძრო, მოსძებნა ყველი, კარაქი და მაღიანად შეექცა.

„შევიდე ბერად? — მოდიოდა ფიქრი: — არა. დაიღუპოს მაგათი სახსენებელი! ერთი მხრივ მართლა კარგია, მაგრამ მეორე მხრით არ მომწონს. სჯობია ცოლი შევირთო. — ცოლის გახსენებაზე ქუჩაში ნანაი ახოვანი ქალი მოაგონდა. იმ ქანდრის კაცს ისეთი ზორბა ქალი თუ აეკვია ტა, მე ვითომ რა იმაზე ნაკლები გარ? უმაღლესი სწავლა მზითევსაც კარგს ავიღებ... არა, ბერობა არ მინ-

და. ლმერთმა განუსვენოს ბერებს!“ — წარმოსთქვა იგანიჩმა, გაიღიმა და მეოთხე ჭიქა ღვინო გადაჰკრა.

„ეს ღვინო კი მშვენიერებაა სწორედ აქ. პირველად რომ დავლიე, ძლიერ მემწარა, შემეზრზლა კიდეც, მაგრამ ახლა უმისოდ ვეღარა ვძლებ... ეპისკოპოსობა დიდი პატივია... დაუქნიე ხელი და „ის პოლა“ს იგალობებენ. შენც აკურთხე, შრეში არ დაგეხარჯება და ნიშადური... გუბერნატორიც მოწიწებით მოვა და ხელზე გემთხვევა. ახლა კი, ნათლის ღება დღეს უბრალო პოლიციელმა, წყალკურთხევის ამბავს რომ ვუყურებდი, კინალამ ზურგი ამიკრელა... არა... დაიკარგოს. ახლა სასულიერო უწყების მოხელეთაც აქვთ უფლება ფორმის ტანისამოსის ჩაცმისა, სტატსკი სოვეტნიკის ღილებს რომ გავიკეთებ, უბრალო პოლიციელი-კიარა, პოლიცემისტერიც პატივით მომეპურობა. არა, სჯობია ცოლი შევირთო. ურა... გაუმარჯოს ახოვან ქალებს!“ გასაგონად წამოიძახა „კვარტალნი“-მ და კვლავ გადაჰკრა ჭიქა ღვინო.

ბართლომე იგანიჩმა გოჭის შემწვარ კანს ჭდავლო ჩან-გალი და პირში ჩაიდო. „უჟ? უჟ! რა გემრიელია კანი, ან რა სუფთად და კარგად არის გაკეთებული: ცოტა და კირი კია, ნახევარ გირვანქაში აბაზი მივეცი“, — ფიქრობდა იგანიჩმა და სიამოვნებით ახრამუნებდა.

ჭიქა ისევ გაავსო. უნდოდა ამ სასიამოვნო გუნებაზე რამდე კაი სადლეგრძელო დაელია და თითქმის ჭიქასაც ხელი წაავლო, რომ ვიღაც საჩქაროდ შემოიჭრა ოთახში.

— ბართლომე იგანიჩმა, ბართლომე იგანიჩმა, შინა ხართ? მოვძებნე, მოვძებნე წესდებაში საჭირო მუხლის აი, ორმოც და მესამე... — იძახდა მ. ინსპექტორი და გაშლილ წიგნაკზე უთითებდა.

— ვ... ვ... რაღაც გაუგებარი წამოიძახა ბართლომე იგანიჩმა, ზეზე წამოიჭრა და ყურებამდე გაწითლებულმა, გემრიელად დალეჭილი ლუკმა უგემურად გადაყლაპა... უიარალო.



ე ზ მ ა კ ი ღ.

მეხრე უნდა მეხრეობდეს,
ქარავანი ქარავნობდეს,
შენისთანა იუმორისტი
ცირკში უნდა ფალავნობდეს.

ტ ვ ი ლ ი ს ე ლ ი ჟ ა ნ ტ ე პ ლ ე რ ე ბ ი .



ა. ხ ა ტ ი ს მ ვ ი ღ.



გ. გ ვ ა ჭ ა ვ ა ღ.

მოფრინდა ორი ფრინველი,
უცხა ბუმბულით, ფრთებითა;
ყოყოჩობითა ერთი სჯობს,
მეორე ოქროს ძეძევითა.